

შპს გრიინ ინვესტ ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო პერიოდზე.

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები	7-22
ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	7-22
(ა) უცხოური ვალუტა	7-22
(ბ) შემოსავლის აღიარება	7-22
(გ) სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები	7-22
(დ) გადასახადები	7-22
(ე) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7-22
(ვ) ძირითადი საშუალებები	7-22
(ზ) არამატერიალური აქტივები	7-22
(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7-22
(ი) მომუშავეთა გასამრჯელო	7-22
(კ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები	7-22
(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები	7-22
(მ) ხარჯად აღიარება	7-22
(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის	7-22
(ო) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	7-22
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება	7-22

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	მენიშვნა	2019	2018	2017
სულ აქტივი				
გრძელვადიანი აქტივი				
არამატერიალური აქტივები	1	13,009	14,951	16,892
ძირითადი საშუალებები	1	154,072	202,597	201,865
გრძელვადიანი აქტივი		167,081	217,548	218,757
მოკლევადიანი აქტივი				
მიმდინარე მარაგი	2	325,143	392,207	280,730
საგადასახადო აქტივი		370	0	0
გადახდილი ავანსი		0	885	250
სავაჭრო მოთხოვნა		15,298	32,138	20,220
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	3	18,729	26,473	19,677
მოკლევადიანი აქტივი		359,540	451,703	320,877
სულ აქტივი		526,622	669,251	539,634
სულ კაპიტალი და ვალდებულება				
კაპიტალი				
საწყისი დაგროვილი მოგება-ზარალი		(747,685)	(603,731)	(603,731)
მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალი		(201,403)	(143,955)	0
საწესდებო კაპიტალი		200	200	15,200
კაპიტალი		(948,889)	(747,485)	(588,531)
მოკლევადიანი ვალდებულება				
გადასახდელი პროცენტი	4	161,097	114,287	67,474
საგადასახადო ვალდებულება		128,364	19,249	5,334
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	4	468,110	468,110	468,110
პერსონალის მიმართ ვალდებულება		31,556	38,069	10,371
სავაჭრო ვალდებულება		686,384	777,022	576,876
მოკლევადიანი ვალდებულება		1,475,510	1,416,737	1,128,165
სულ კაპიტალი და ვალდებულება		526,622	669,251	539,634

შპს "გრიინ ინვესტი"-ის

დირექტორი:

ზურაბ ფირცხალაიშვილი



2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	მენიშვნა	2019	2018
მიმდინარე წლის მოგება			
საერთო მოგება			
ამონაგები	5	3,524,813	2,473,761
თვითღირებულება	6	(2,110,647)	(1,595,675)
საერთო მოგება		1,414,167	878,086
საოპერაციო მოგება			
სხვა საოპერაციო შემოსავალი		1,797	1,186
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი		(4,968)	(11,568)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(1,271,119)	(838,119)
სხვა საერთო ხარჯი	8	(322,829)	(105,865)
საოპერაციო მოგება		(1,597,119)	(954,366)
არასაოპერაციო მოგება			
საპროცენტო ხარჯი		(46,811)	(46,811)
კურსთაშორის სხვაობა ნეტო		(89)	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	9	151,898	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	9	(123,449)	(20,864)
არასაოპერაციო მოგება		(18,451)	(67,674)
მიმდინარე წლის მოგება		(201,403)	(143,955)

შპს "გრინ ინვესტ"-ის

დირექტორი:

ზურაბ ჭირცხალაიშვილი




შპს "გრინ ინვესტი"

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

წელი	მოგება ზარალი		ნაშთი	საწესდებო კაპიტალი		ნაშთი	ნაშთი
	საწყისი დაგროვილი მოგება ზარალი	მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი		საწყისი საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება		
2017	(603,731)	0	(603,731)	15,200	0	15,200	(588,531)
2018	(603,731)	(143,955)	(747,686)	15,200	(15,000)	200	(747,486)
2019	(747,685)	(201,403)	(949,088)	200	0	200	(948,889)

შპს "გრიინ ინვესტ"-ის

დირექტორი:

ზურაბ

ფირცხალაიშვილი




ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2019	2018
ფულადი სახსრების მოძრაობა		
საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები		
მომხმარებლისგან მიღებული ფული	4,126,564	2,835,518
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული	(2,682,577)	(2,211,498)
თანამშრომლისთვის გადახდილი ფული	(849,292)	(344,720)
სხვა საბიუჯეტო გადასახადი	(598,349)	(254,470)
ავანსის სახით მიღებული	250	0
ავანსის სახით გადახდილი	(4,300)	(3,035)
საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები	(7,704)	21,796
საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადები		
სადამფუძნებლო შენატანები	0	(15,000)
სავალუტო ცვლილების ეფექტი	(40)	0
საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადები	(40)	(15,000)
ფულადი ნაკადების და მათი ექვივალენტების ნაშთები		
საწყისი ფულადი ნაშთი	26,473	19,677
ფულადი ნაკადების და მათი ექვივალენტების ნაშთები	26,473	19,677
საბოლოო ფულადი ნაკადების და მათი ექვივალენტების ნაშთი	18,729	26,473

შპს "გრინ ინვესტ"-ის

დირექტორი:

ზურაბ

ფირცხულიშვილი



ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს “გრიინ ინვესტ” (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომრით 445450850 კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად 2016 წლის 9 აპრილს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.ბათუმი, ე.თაყაიშვილის ქ., №13; ფაქტიური მისამართი ფაქტიური მისამართი:ქ.ბათუმი რუსთაველის ქუჩა #40

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარესტორნო და საკვებით მომსახურების საქმიანობა, ასევე კომპანია ახორციელებს დამატებით საქმიანობასაც საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლური სასმელებით.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორია:

1. ზურაბ ფირცხალაიშვილი, 26001002687.

კომპანიის დამფუძნებლებია :

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანურია, 445472211 - 100%

კომპანია ზომითი კატეგორიის მიხედვით წარმოადგებს მესამე კატეგორიის საწარმოს ყველა არსებითი კრიტერიუმით:

მესამე კატეგორიის საწარმო არის სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

ა) აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს არ აღემატება;

ბ) შემოსავალი 20 მილიონ ლარს არ აღემატება;

გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 50-ს არ აღემატება.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) . საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება პირვანდელი ღირებულების შეფასების მეთოდი. აქტივის აღრიცხვა ხდება მისი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მისი შეძენის მომენტში. ვალდებულება აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია

მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ. საწარმო არ ფლობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ შპს გრიინ ინვესტი ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ზემოთ აღწერილ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას:

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ზოგადი

კომპანიის მიერ 2018-2019 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად, წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარგენილი.

მსს ფასს-ის შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ისე, თითქოს იგი ყოველთვის ამ სტანდარტს იყენებდა. რადგანაც სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებდა წინა საანგარიშგებო პერიოდში, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღით. აქედან გამომდინარე მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად რაიმე ტიპის კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძარისობის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას.
- ბ) სრული შემოსავლის ანგარიშგებას
- გ) საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას
- დ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას (პირდაპირი მეთოდით)
- ე) განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.
საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

კურსები საანგარიშო პერიოდის ბოლოს :

დოლარი

31.12.2017 – 2.5922

31.12.2018 – 2.6766

31.12.2019 – 2.8677

ევრო

31.12.2017 – 3.1044

31.12.2018 – 3.0701

31.12.2019 – 3.2095

(ბ) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

(გ) სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

(დ) გადასახადები

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

ქონების გადასახადი

ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, კომპანიის საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი აქტივები, ქონების კუთვნილი გადასახადი გაიანგარიშება წელიწადში ერთხელ ქონების საშუალო წლიური ღირებულებიდან და წელიწადში ერთხელ გასული წლის გადასახადის ოდენობით მიმდინარე გადასახადის სახით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც დივიდენდის გაცემა გათვალისწინებულია მოგების გადასახადისგან. სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების აღიარება

(ე) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან. ფულად ექვივალენტებში ჩაირთვება სამ თვემდე დაფარვის მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა გადაქცევა ფულად ფორმაში შეიძლება ადვილად და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მინიმალურია.

(ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და

შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო მომსახურების	ვადაა:
მანქანა დანადგარები	5-10 წლამდე
სარეკლამო კონსტრუქცია	5-10 წლამდე
ოფისის აღჭურვილობა	5-10 წლამდე
საკომუნიკაციო მოწყობილობა	5-10 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წლამდე

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(ზ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება სასრულად და შეზღუდულია 5-15 წლამდე.

სასრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშების

პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

(ი) მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ სტანდარტის რომელიმე თავი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში. ანალოგიურად, ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

(ვ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიას ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში მოიაზრება ნებისმიერი აქტივი, რომელიც წარმოადგენს: ფულად სახსრებს, სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტს და სხვა საწარმოსგან ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების სახელშეკრულებლო უფლებას. ფინანსური აქტივის თვითღირებულების აღიარება ხდება თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული ღირებულებით, რომელსაც ემატება თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე დამატებით დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, აკლდება თავდაპირველად აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე მიღებული ძირისა და პროცენტის თანხები და აკლდება გაუფასურების ზარალის თანხა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია არ იყენებდა რაიმე ტიპის სვოპ და ფორვადულ კონტრაქტებს, სავალუტო და საპროცენტო რისკების შემცირებისთვის.

(მ) ხარჯად აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, კერძოდ ორივე საწარმოს აკონტროლებს ერთი და იგივე პიროვნება.

თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდსამართლებრივ ფორმაზე.

(ო) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგების პერიოდის ბოლოს წარმოდგენილი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე.

1. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017-2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

წელი	საწყისი ძირითადი საშუალებები	ძირითადი საშუალების მოძრაობა	ნაშთი	საწყისი დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთის ცვლილება	ნაშთი	სულ
2017							
ავეჯი და სხვა ინვენტარი	202,295	0	202,295	(58,113)	0	(58,113)	144,182
მანქანა დანადგარები	8,992	0	8,992	(1,717)	0	(1,717)	7,275
ოფისის აღჭურვილობა	43,730	0	43,730	(11,295)	0	(11,295)	32,434
საკომუნიკაციო მოწყობილობა	1,984	0	1,984	(595)	0	(595)	1,389
სარეკლამო კონსტრუქცია	19,322	0	19,322	(2,737)	0	(2,737)	16,585
არამატერიალური აქტივები	19,415	0	19,415	(2,523)	0	(2,523)	16,892
2017 წლის ბოლო	295,738	0	295,738	(76,981)	0	(76,981)	218,757
2018							
ავეჯი და სხვა ინვენტარი	202,295	50,477	252,772	(58,113)	(44,677)	(102,790)	149,982
მანქანა დანადგარები	8,992	7,623	16,615	(1,717)	(2,635)	(4,352)	12,262
ოფისის აღჭურვილობა	43,730	805	44,535	(11,295)	(8,784)	(20,079)	24,456
საკომუნიკაციო მოწყობილობა	1,984	314	2,297	(595)	(458)	(1,053)	1,244
სარეკლამო კონსტრუქცია	19,322	0	19,322	(2,737)	(1,932)	(4,669)	14,653
არამატერიალური აქტივები	19,415	0	19,415	(2,523)	(1,942)	(4,465)	14,951
2018 წლის ბოლო	295,738	59,218	354,956	(76,981)	(60,428)	(137,408)	217,548
2019							
ავეჯი და სხვა ინვენტარი	252,772	1,978	254,750	(102,790)	(50,799)	(153,589)	101,161
მანქანა დანადგარები	16,615	16,186	32,800	(4,352)	(4,718)	(9,071)	23,729
ოფისის აღჭურვილობა	44,535	119	44,653	(20,079)	(8,856)	(28,935)	15,718
საკომუნიკაციო მოწყობილობა	2,297	0	2,297	(1,053)	(501)	(1,554)	743
სარეკლამო კონსტრუქცია	19,322	0	19,322	(4,669)	(1,932)	(6,602)	12,720
არამატერიალური აქტივები	19,415	0	19,415	(4,465)	(1,942)	(6,406)	13,009
2019 წლის ბოლო	354,956	18,282	373,238	(137,408)	(68,749)	(206,157)	167,081

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

- (ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;
- (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ღირებულებას, შეძენაზე დაუბრუნებად გადასახადებს, ასევე პირდაპირი ხარჯებს, ადგილამდე

მოწოდებასთან დაკავშირებით სამუშაო მდგომარეობაში მოყვანამდე. კომპანია ცვეთის გაანგარიშებისთვის იყენებს წრფივ მეთოდს.

2. სასაქონლო მატერიალური ფასაულობა

სასაქონლო მატერიალური ფასაულობა 2017-2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018	2017
მიმდინარე მარაგი			
ბარი	100,712	168,277	93,445
დასაბრუნებელი ტარა და მენიუ	15,437	8,278	4,456
ნედლეული და მასალები	0	0	0
რესტორნის დეკორაციები და აქსესუარები	50,069	48,145	30,488
რესტორნის ჭურჭელი	98,907	108,915	74,830
საბავშვო ოთახი	1,563	1,583	856
სამზარეულო	32,098	25,450	49,519
საწვავი	0	0	0
სახარჯი მასალა	7,489	0	0
სპეც ტანსაცმელი	11,799	27,214	22,502
სხვა მცირეფასიანი მარაგები	2,517	1,471	799
ტექნიკური ზედამხედველობის სამუშაო იარაღები	2,478	579	579
ჩილიმი	2,075	2,295	3,255
მიმდინარე მარაგი ჯამი	325,143	392,207	280,730

3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2017-2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018	2017
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები			
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	16,037	5,612	5,362
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	576	3,673	1,144
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,117	17,189	13,172
სალარო აპარატები	0	0	0
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ჯამი	18,729	26,473	19,677

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშების თარიღისთვის. საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების ნაშთების კლასიფიცირება შეიძლება როგორც რისკის გარეშე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც განთავსებულია კომპანიის მიმდინარე ანგარიშები არის საიმედო და ფართოდ ცნობილი ქართული საფინანსო ორგანიზაციები.

4. მოკლევადიანი სესხები და მასთან დაკავშირებული პროცენტები

მოკლევადიანი სესხები და მასთან დაკავშირებული პროცენტები 2017-2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018	2017
გადასახდელი პროცენტი			
გადასახდელი პროცენტები	161,096	114,285	67,474
გადასახდელი პროცენტი ჯამი	161,096	114,285	67,474
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება			
მოკლევადიანი სესხები	468,110	468,110	468,110
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება ჯამი	468,110	468,110	468,110

კომპანიას სასესხო ვალდებულება გააჩნია ეროვნულ ვალუტაში, სესხის მომსახურების საკომისიო შეადგენს წლიურ 10%. სესხი არ არის უზრუნველყოფილი რაიმე ტიპის აქტივებით. მიმდინარე პერიოდში არ მომხდარა სესხის ძირითადი ნაწილის და ასევე მასზე დარიცხული პროცენტის შემცირება. სესხის ძირითადი თანხით განხორციელდა ძირითადი საშუალებების შეძენა და იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა.

5. ამონაგები

ამონაგები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნის დასახელება	2019	2018
ამონაგები		
შემოსავალი რეალიზაციიდან - რესტორანი	3,507,144	2,466,519
ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვა	17,669	7,242
ამონაგები ჯამი	3,524,813	2,473,761

ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც აქტივი შეიძლება გაიცვალოს, ვალდებულება დაიფაროს, ან გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტი გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის, “გაშლილი ხელის მანძილის” პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში.

რეალური ღირებულება მოიცავს ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. სავაჭრო და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები, ზოგადად, ცნობილი გახდება გაყიდვის მომენტში. ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობები საწარმოსგან მოითხოვს შეფასების გაკეთებას პერიოდის ბოლოს ნებისმიერი გადაუხდელი მოთხოვნის საფუძველზე. ბევრი საწარმო ამონაგებს აღრიცხავს გაყიდვის მთლიანი თანხით და ნებისმიერი ფასდათმობის აღსარიცხად ცალკე ანგარიშს გამოიყენებს. ფინანსური ანგარიშგების

მომზადებისას მნიშვნელოვანია ამგვარი ანგარიშების დახურვა ამონაგების საწინააღმდეგოდ და მხოლოდ წმინდა ამონაგების რიცხვითი მნიშვნელობის წარდგენა.

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მენიშვნის დასახელება	2019	2018
თვითღირებულება		
ბარის ჩამოწერები თვითღირებულებაზე	(328,329)	0
ბარმენების ხელფასი	(84,446)	(25,401)
ბინების იჯარისთვის გაცემული ხელფასი	(17,492)	(5,769)
დამლაგებლების ხელფასი	(40,841)	(19,629)
მაღაზიის ჩამოწერები თვითღირებულებაზე	(44,096)	0
მაღაზიის ხელფასი	(11,731)	(2,250)
მიმტანების ხელფასი	(196,797)	(84,225)
მრეცხავების ხელფასი	(38,441)	(27,000)
რეალიზებული ბარის პროდუქცია	0	(357,187)
რეალიზებული პროდუქცია სამზარეულო	0	(782,699)
სამეუნო საქონელი	(119,889)	0
სამზარეულოს ჩამოწერები თვითღირებულებაზე	(760,089)	0
სამზარეულოს ხელფასი	(424,473)	(165,674)
სხვა ჩამოწერები თვითღირებულებაზე	(15,806)	0
ჩილიმები	0	(2,104)
ჩილიმი	(6,912)	0
ჩილიმის ჩამოწერები თვითღირებულებაზე	(1,384)	0
ხოსტესების ხელფასი	(19,919)	(8,203)
ჰიგიენური და სამეურნეო საქონელი	0	(115,535)
თვითღირებულება ჯამი	(2,110,647)	(1,595,675)

7. ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მენიშვნის დასახელება	2019	2018
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		
ადმინისტრაციის ხელფასი	(216,402)	(89,715)
პერსონალის კვება	(100,138)	0
საგადასახადო ხარჯი	(112,547)	(4,917)
კომუნალური ხარჯი	(95,255)	(89,703)
კომუნიკაციის ხარჯი	(108)	(260)

იჯარის ხარჯი	(661,662)	(591,827)
ცვეთა და ამორტიზაცია	(68,749)	(60,428)
სხვა ხარჯი	(16,259)	(1,268)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი ჯამი	(1,271,119)	(838,119)

8. სხვა საერთო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნის დასახელება	2019	2018
სხვა საერთო ხარჯი		
რემონტი და მონტაჟი	(1,272)	(13,513)
მოვლა-შენახვის ხარჯი	(108,492)	(14,558)
ბანკის საკომისიო	(89,818)	(30,055)
ტრანსპორტირების ხარჯი	(11,273)	(6,848)
საკანცელარიო ხარჯი	(5,094)	(4,424)
მუსიკოსების ხარჯი	(100,668)	(21,563)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(6,213)	(14,905)
სხვა საერთო ხარჯი ჯამი	(322,829)	(105,865)

9. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯი

სხვა არასაოპერაციო ხარჯი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნის დასახელება	2019	2018
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		
არასწორად დარიცხული საპენსიო ანარიცხის კორექტირება	673	0
აუნაზღაურებელი ვალდებულება	2,848	0
ვალდებულების დაფარვა დოკუმენტალურად დაუდასტურებელი	211	0
ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა	147,051	0
უსასყიდლო მოწოდება	1,115	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები ჯამი	151,898	0
შენიშვნის დასახელება	2019	2018
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		
აუნაზღაურებელი მოთხოვნა	(5,299)	(8)
დოკუმენტალურად დაუდასტურებელი გადახდები/ვალდებულებები	(1,749)	0
დოკუმენტალურად დაუდასტურებელი ხარჯი	(585)	(163)
ინვენტარიზაციის დანაკლისი	(10,590)	(4,005)
ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისი	(102,582)	0
საწვავის კორექტირებები	(2,270)	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(375)	0
ჩათვლელი დღგ-ს ხარჯი	0	(16,687)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები ჯამი	(123,449)	(20,864)

17. ფაქტიური და პოტენციური ფინანსური ვალდებულებები

საგადასახადო სისტემა

საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ადგენს სამართლებრივ მექანიზმებს გადასახადების დარიცხვასა და გადახდასთან. ძირითადი გადასახადები, რომლებიც ამოიღება საქართველოში არის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, დღგ, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები. საგადასახადო დეკლარაციის შედგენის სისწორე მოწმდება საქართველოს სხვადასხვა სახის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის საქმიანობა ხორციელდება კანონთან სრულ შესაბამისობაში იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შედარებით გაურკვევლობა ამა თუ იმ გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით, დარიცხვები ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში არა აქვს რაიმე სახის იურიდიული ვალდებულება ან მოთხოვნა, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს სამართლებრივი დავა.

დაზღვევა

კომპანიას საანგარიშო პერიოდში არ სარგებლობს სადაზღვევო მომსახურებით.

1. ფინანსური რისკის ფაქტორები

სავალუტო რისკი

კომპანიის ოპერაციები ხორციელდება როგორც ეროვნულ ვალუტაში, ისე უცხოურ ვალუტაში. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები ძირითადად ლარზე ხორციელდება. ასეთი სიტუაცია იწვევს საკურსო სხვაობის ცვლილებით გამოწვეული რისკების მინიმალურ არსებობას. თუმცა დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე წარმოიქმნება საკურსო სხვაობები, რომლებიც ჩართულია ანგარიშგებებში.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ამოცანაა შეინარჩუნოს ბალანსი უწყვეტი დაფინანსებისა მოქნილობაში, რომელიც წარდგება მომწოდებლებისაგან. კომპანია ახდენს დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და გეგმავს მის ლიკვიდურობას შესასრულებელი ვალდებულებების ვადების შესაბამისად. არასაკმარისი ლიკვიდურობის პირობებში მოიზიდავს დამატებით დაფინანსების წყაროებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კორონავირუსის გავრცელების შესაძლო ეფექტი

2019 წლის ბოლოს ახალი კორონავირუსი (COVID-19)-ტი ახალი გამოწვევა დარჩა მთელი მსოფლიოსათვის. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო, პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები. ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო: - საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო - კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე - ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით - გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და ტვირთების გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა კომპანიის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია.